საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/26

ქ. ბათუმი 02 თებერვალი, 2015 წ.

ბსუ–ს იმ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელთა სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა ბსუ-ში აღემატება 5 წელს

ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 28 იანვრის №251 და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 28 იანვრის №230 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ვლადიმერ ღლონტის 2015 წლის 02 თებერვლის №314 მოხსენებითი ბარათებით წარმოდგენილ იქნა იმ სტუდენტთა სია, რომელთაც ბსუ-ში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქვთ სტუდენტის სტატუსის შეჩერებული. ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტი, რომელსაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აქვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებული, ექვემდებარება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას. გამომდინარე იქედან, რომ სტატუსშეჩერებულ პირებს 5 წლის ვადაში არ გამოუყენებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებითა და ბსუ-ს წესდებით მინიჭებული უფლებამოსილება (სტუდენტის უფლებებში აღდგენა), დღევანდელი მდგომარეობით მათი სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა ბსუ-ში აღემატება 5 წელს, კანონშესაბამისია მათ მიმართ გამოიცეს ბრძანება ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13-14 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე–3 მუხლის მე–5 პუნქტის, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის № 01-08/21 ბრძანების, ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 28 იანვრის №251, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 28 იანვრის №230 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ვლადიმერ ღლონტის 2015 წლის 02 თებერვლის №314 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი იმ სტუდენტებს (დანართი 1) რომელთა სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა ბსუ-ში აღემატება 5 წელს.

2. ბრძანება ჩაბარდეთ დაინტერესებულ მხარეებს - სტატუსშეწყვეტილ პირებს, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, რისი უზრუნველყოფაც დაევალოს ბსუ-ს კანცელარიასა და შესაბამის ფაკულტეტებს.

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ქ. ბათუმი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №30);
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

რექტორის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი **ი. ბარამიძე**

„ბსუ–ს იმ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელთა სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა ბსუ-ში აღემატება 5 წელს" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2015 წლის 02 თებერვლის N__

დანართი 1

იურიდიული ფაკულტეტი

ბაკალავრიატი

სამართალმცოდნეობა

ბრძანება **N** 3-664 07.12. 2009წ

1. ოქრაძე სოფიკო
2. ვადაჭკორია ლაშა
3. ქობულაძე არჩილ
4. თენიეშვილი ვახტანგ
5. ვადაჭკორია მარიეტა

სამართალმცოდნეობა

ბრძანება **N** 3-255 05.07.2009 წ

1. თურმანიძე ზვიად

მაგისტრატურა

სისხლის სამართლი

ბრძანება- **N** 3-255 05.06.2009 წ

1. დიმიტრაძე მერაბ--
2. ბასილაძე რამინი--
3. გაბისონია რუსლან--
4. ვარშანიძე რომან--

სისხლის სამართლი

ბრძანება **N** -3-293 26.06.2009 წ

1. გორგაძე გოდერძი--

კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი

ბრძანება **N** -3-255 05.06.2009 წ

1. ბერიძე გიორგი--
2. ბერიძე ნათია--

კერძო სამართალი

ბრძანება **N** -3-255 05.06.2009 წ

1. ბასილაძე არჩილ--
2. კვირიკაძე ისმაილ--

კერძო სამართალი

ბრძანება **N** -3293 26.06.2009 წ

1. ვარშანიძე ზაზა--
2. უსტალიშვილი მაია--

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაგისტრატურა

საერთაშორისო ფინანსები

1.ბეჟანიძე ქეთინო-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტატუსშესაწყვეტი/მაგისტრატურა/

სპეციალობა	**N**	**გვარი,სახელი**	**პირადიN**	**შეჩ. ბრძანების№ თვე, რიცხვი**
ქართ ლიტ ისტორის	1	ქედელიძე ირმა		3-9. 22/01/2010
საქართველოს ისტორია		ყაველაშვილი ეთერი		3-9. 22/01/2010
საქართველოს ისტორია		ბოლქვაძე მაია		3-9. 22/01/2010

სტატუსშესაწყვეტი /დოქტორანტურა/

სპეციალობა	**N**	**გვარი,სახელი**	**პირადიN**	**შეჩ. ბრძანების№ თვე,რიცხვი**
ლიტერატურათმცოდნეობა		გარაყანიძე ქეთევან		3-9. 22/01/2010